ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/56 cpv 55320000

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 29 აგვისტო 2017წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გურმე“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), წამოდგენილი დირექტორის, ნინო მამულაშვილის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის, ეკა ეკალაძის მოხსენებითი ბარათი კანცელარიის #MES 4 17 00871579 25.07.2017წ. და #MES 21700987597 29.08.2017წ) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. თსსუ-ში ემორის სამედიცინო სკოლის დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, ლანჩის და კოფე ბრეიქის მოწყობა დანართის (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესაბამისად.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღებია 2017 წლის 30, 31 აგვისტო და 1 სექტემბერი.

2.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ#33.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1746,80 (ერთი ათას შვიდასორმოცდაექვსი ლარი და 80 თეთრი) ლარს.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.5 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.

5.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი ეკა ეკალაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
თბილისის სახელმწიფო	შპს „გურმე“
სამედიცინო უნივერსიტეტი	იურიდ. მის: ქ.თბილისი, ლ.პასტერის ქ. №7ა
ვაჟა ფშაველას გამზ.№33	ფაქტ. მის:ფალიაშვილის 53
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	საიდენტიფიკაციო ნომერი 404407879
სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22	სს საქართველოს ბანკი, კოდი BAGAGE22
ა/ა GE24NB 0330100200165022	ა/ა GE63 BG 0000 000 881 292 400
თსსუ-ს კანცლერი	**შპს „გურმეს“-ს მინდობილი პირი**
ზურაბ ორჯონიკიძე	**რუსუდან მუზაშვილი**
_____	_____

დანართი

ლანჩი

I დღე (12 პერსონა) (30.08.2017)	ერთ. ფასი	რაოდენობა	სულ ფასი
ხაჭაპური	1	10	10
ხორცის ღვეზელი	1	10	10
ლობიოს ღვეზელი	1	10	10
კანაპე სალიამით	2	8	16
კანაპე ქათმის კიტრით	2	8	16
ბადრიჯანი ნიგვზით	2	8	16
კიში	2	8	16
მწვადი ქათმის ჩხირზე	2,5	10	25
შუ	0,6	10	6
ეკლერი	1	10	10
ყავა	2,5	10	25
ჩაი	2,5	7	17,5
წვენი სანტალი	7	3	21
წყალი	1	8	8
მინერალური წყალი	1	5	5
ხილის ასორტი	3	12	36
ქართული ყველის ასორტი	4	12	48
მაგიდის გადასაფარებელი		1	0
ერჯერადი ჭურჭელი (თეფში, ჩანგალი, დანა, კოვზი, ჭიქა)	0,8	12	9,6
მომსახურება	35	1	35
			340,1
II დღე (22 პერსონა) (31.08.2017)			
ხაჭაპური	1	15	15
ხორცის ღვეზელი	1	15	15
ქათმის ღვეზელი	1	15	15
სოკოს ღვეზელი	1	10	10
ლობიოს ღვეზელი	1	10	10
კანაპე სალიამით	2	15	30
კანაპე ქათმის კიტრით	2	15	30
სალათი ოლივიე	1,8	10	18
ბადრიჯანი ნიგვზით	2	10	20
ისპანახი ნიგვზით	2	10	20
კიში	2	15	30
მწვადი ქათმის ჩხირზე	2,5	20	50
შუ	0,6	15	9
ეკლერი	1	15	15
ყავა	2,5	20	50
ჩაი	2,5	10	25
წვენი სანტალი	7	5	35
წყალი	1	15	15
მინერალური წყალი	1	5	5
ხილის ასორტი	3	22	66

ქართული ყველის ასორტი	4	22	88
მაგიდის გადასაფარებელი			0
ერჯერადი ჭურჭელი (თეფში, ჩანგალი, დანა, კოვზი, ჭიქა)	0,8	22	17,6
მომსახურება	1	35	35
			623,6
III დღე (12 პერსონა) (01.09.2017)			
ხაჭაპური	1	6	6
ხორცის ღვეზელი	1	6	6
ქათმის ღვეზელი	1	6	6
სოკოს ღვეზელი	1	5	5
ლობიოს ღვეზელი	1	5	5
კანაპე ხორცით	2	6	12
კანაპე ქათმის კიტრით	2	6	12
სალათი ოლივიე	1,8	5	9
ბადრიჯანი ნიგვზით	2	5	10
ისპანახი ფილოთი და ჰოლანდიური ყველით	2,5	5	12,5
კიში	2	8	16
ქათმის რულეტი	3	10	30
შუ	0,6	12	7,2
ხილის ტარტი	3	12	36
ყავა	2,5	12	30
ჩაი	2,5	8	20
წვენი სანტალი	7	3	21
წყალი	1	8	8
მინერალური წყალი	1	5	5
ხილის ასორტი	3	12	36
ქართული ყველის ასორტი	4	12	48
მაგიდის გადასაფარებელი			0
ერჯერადი ჭურჭელი (თეფში, ჩანგალი, დანა, კოვზი, ჭიქა)	0,8	12	9,6
მომსახურება	35	1	35
			385,3

სულ: 1349 ლარი.

1 დღე

N1	კოფე ბრეიქი	ერთ. ფასი	რაოდენობა	სულ ფასი
1	ფრანგული ნამცხვარი 2 სახეობა	2,00	10	20
2	ნამცხვარი	1,50	10	15
3	ყავა	2,50	12	30
4	ჩაი	2,50	6	15
5	მინერალური	1	5	5
6	წყალი	1	8	8
7	ერთჯერადი ჭურჭელი	0,8	12	9,6
				102,6

2 დღე

N2	კოფე ბრეიქი	ერთ. ფასი	რაოდენობა	სულ ფასი
1	ფრანგული ნამცხვარი	2,00	20	40
2	ნამცხვარი	1,50	20	30
3	ყავა	2,50	20	50
4	ჩაი	2,50	12	30
5	მინერალური	1	10	10
6	წყალი	1	15	15
7	ერთჯერადი ჭურჭელი	0,8	22	17,6
				192,6

3 დღე

N3	კოფე ბრეიქი	ერთ. ფასი	რაოდენობა	სულ ფასი
1	ფრანგული ნამცხვარი 2 სახეობა	2,00	10	20
2	ნამცხვარი	1,50	10	15
3	ყავა	2,50	12	30
4	ჩაი	2,50	6	15
5	მინერალური	1	5	5
6	წყალი	1	8	8
7	ერთჯერადი ჭურჭელი	0,8	12	9,6
				102,6

სულ: 397,80 ლარი.

სულ ჯამი ლანჩი და კოფე ბრეიქი 1746, 80 ლარი.

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „გურმეს“-ს მინდობილი პირი
რუსუდან მუზაშვილი